საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №56/ნ
2014 წლის 23 მაისი

ქ. თბილისი

ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო დოკუმენტებისა და სერტიფიკატების ფორმების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჰ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - ატესტატის ფორმა №1 დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - ატესტატის ფორმა №2 დანართის შესაბამისად.

მუხლი 3

დამტკიცდეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - სერტიფიკატის ფორმა №3 დანართის შესაბამისად.

მუხლი 4

დამტკიცდეს საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის დუბლიკატის ფორმა №4 დანართის შესაბამისად.

მუხლი 5

დამტკიცდეს სახელობო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - სერტიფიკატის დუბლიკატის ფორმა №5 დანართის შესაბამისად.

მუხლი 6

წინამდებარე ბრძანების პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 მუხლებით დამტკიცებული სახელმწიფო დოკუმენტების ფორმები წარმოადგენს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მეორე კატეგორიის დაცულ ფორმას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ამ ბრძანების №6 დანართით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 7

წინამდებარე ბრძანების პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სახელმწიფო დოკუმენტების აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრას, პოლიგრაფიული საწარმოების მეშვეობით მათ ტირაჟირებასა და გამოყენების კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

მუხლი 8

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო დოკუმენტებისა და სერტიფიკატების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 2 ივნისის №269 ბრძანება.

მუხლი 9

ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 23 ივნისიდან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **თამარ სანიკიძე**